ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის (CON-12001) საშუალებით

ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება

31.01.2012 წ.

ქ. თბილისი

1. ერთი მხრივ, შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია ს/კ 404391136 (შემდგომში-მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის საბა ჯიშიაშვილის სახით და, მეორეს მხრივ, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრი, ს/კ 228544064 (შემდგომში-შემსყიდველი ორგანიზაცია) წარმოდგენილი დირექტორის, ივანე შანშიაშვილის სახით, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის 20² მუხლის, „ნავთობპროდუქციის (საწვავის) სახელმწიფო შესყიდვის კონსოლიდირებული ტენდერის საშუალებით განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის # 2622 განკარგულებისა და „ნავთობპროდუქციის (საწვავის) კონსოლიდირებული ტენდერის ჩატარების წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანების მე-9 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე საწვავის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდგეზე:

2. <u>ხელშეკრულების საგანი:</u> ტალონური სისტემით საწვავის, დიზელი (PPM 50 და მეტი), რეგულარი (ოქტანობა არანაკლებ 91) ნასყიდობა.

1. <u>მოცულობა საწვავის ტიპის/მარკის მიხედით:</u> წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შემსყიდველი ორგანიზაცია შეისყიდის დიზელს (PPM 50 და მეტი) 3500 (სამიათასხუთასი), ხოლო რეგულარს (ოქტანობა არანაკლებ 91) 2300 (ორიათასსამასი) ლიტრის ოდენობით.
2. მხარეები თანხმდებიან, რომ მიწოდების ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საწვავის ფასი განისაზღვრება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღეს მიმწოდებლის საცალო ქსელში დაფიქსირებულ ფასს მინუს 4 (ოთხი) თეთრი დღგ-ს ჩათვლით დიზელის (PPM 50 და მეტი), და ასევე ფასს მინუს 4 (ოთხი) თეთრი დღგ-ს ჩათვლით რეგულარის (ოქტანობა არანაკლებ 91) შემთხვევაში.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ საწვავის ფასის გადახდა ხდება წინსწრებით. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველი ორგანიზაციისათვის ტალონების გადაცემა ხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ დროს.
4. საწვავის სახელმწიფო შესყიდვახორციელდება კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001-ს შესაბამისად.
5. ხელშკრულების მოქმედების ვადა: წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან და ძალაშია 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით
6. შემსყიდველი და მიმწოდებელი ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშკრულება არ ეწინააღმდეგება და არ აუარესებს კონსოლიდირებული ტენდერის CON-12001 სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებისა და მიმწოდებლის საწვავის მიწოდების ძირითად პირობებს, რომელიც დამტკიცებულია სატენდერო კომისიის მიერ.
7. მიღება-ჩაბარების აქტით ტალონების გადაცემის შემდეგ შემსყიდველზე გადადის ტალონების დაზიანების, განადგურების, დაკარგვის რისკი და მიმწოდებელი თავისუფლდება ტალონების გამოცვლის, ან დაკარგვით გამოწვეული რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან. შემსყიდველზე გადაცემული ტალონები არ ექვემდებარება უკან დაბრუნებას ან სხვა სახეობის ტალონებზე გადაცვლას; ტალონით საწვავის გაცემისას დაუშვებელია ავტოგასამართ სადგურზე წარმოდგენილი ტალონის ნაწილობრივი განაღდება.
8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო ერთი მიმწოდებელს.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს სან პეტროლიუმ ჯორჯია	**დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის ცენტრი**
იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ძველი თბილისის რაიონი, დ. აღმაშენებლის # 154 საიდენტიფიკაციო კოდი: 404391136 ბანკი: სს „საქართველოს ბანკი"-ს გ/ფ ბანკის კოდი: BAGAGE22 ანგარიშის # GE62BG0000000876831000 ბანკი: სს „თიბისი ბანკი"-ს გ/ფ ბანკის კოდი: TBCBGE22 ანგარიში # GE05TB7538836020100001	იურიდიული მისამართი: დედოფლისწყარო, კოსტავას #1 საიდენტიფიკაციო კოდი: 228544064 ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი"-ის დედოფლისწყაროს ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიში # GE24LB0120165533294000
გამყიდველის სახელით, ს. ჯიშიაშვილი	მყიდველის სახელით, ი. შანშიაშვილი